№ 24
ოთხშაბათი, 31 იანვარი 1896

1877—1896

# ივერია

№ 24
ოთხშაბათი, 31 იანვარი 1896

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 21 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 0 | 5 | 5 | 50 |
| 01 | 8 | 5 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | | 3 | 3 | 50 |
| ბ | 7 | 2 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 5 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი №227

## „ივერია"

1896 წელსაც გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- |
| 12 თვით. | 10 მ.—კ. | | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 ,, | 9 ,, 50,, | | 5 ,, | 5 ,, 50,, |
| 10 ,, | 8 ,, 75,, | | | 4 ,, 75,, |
| 9 ,, | 8 ,, —,, | | 3 ,, | 3 ,, 50,, |
| 8 ,, | 7 ,, 25,, | | 2 ,, | 2 ,, 75,, |
| 7 ,, | 6 ,, 50,, | | 1 ,, | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція ,,ИВЕРІА".

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დასაბეჭდად**

**ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანეთი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანეთი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.**

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვს, ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/_2$ საათამდე.

**რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.**

---

დაიბეჭდა პირველ გამოცემად

## თავდადებულნი ქართველნი

ისტორ. მოთხრობანი

**ი. გოგებაშვილისა.**

წიგნში მოთავსებულია სამი მოთხრობა: თავდადებული მღვდელი თევდორე, თავდადებული აზნაური იოთამ ზედგინიძე და თავდადებული თავადი ცოტნე დადიანი. ბოლოში დამატებად დაბეჭდილია მეოთხე მოთხრობა ებრაელთა ისტორიიდამ „გამარჯვებული დედა", რომელსაც შინაგანი კავშირი აქვს წინა მოთხრობების დედა-აზრთანა. წიგნი შემკულია ცხრა სურათით, სახელდობ: 1) თევდორე მღვდელი ჰკეტავს ეკკლესიას თავის გაქცევის წინად და თათრის ჯარი ესწრობს; 2) თევდორე მღვდელს ტყეში ჰკლამენ თათრები; 3) სომხის მღვდელი საკაშვილი მიაჭენებს გორისაკენ ცხენსა და უკან მისდევს თათრის ჯარი; 4) გორის ხიდი ჩაშლილი დაუხვდება თათრის ჯარსა და გორი გადაურჩება მტრის შესევასა; 5) სამი მკვლელი ღამით მიიპარება მეფე გიორგის საწოლში, სადაც სძინავს იოთამ ზედგინიძესა; 6) მეფე გიორგი შედის დილით თავისს საწოლში და ხედავს ზედგინიძეს დაჭრილსა და მომაკვდავსა; 7) კრება ქართველთ მამულიშვილთა ახალციხის ახლო მონგოლთა წინაალმდეგ ასაჯანყებლად საქართველოსი, ცოტნე დადიანის მონაწილეობით; 8) ანისის ქალაქში დატყვევებულნი ქართველნი სხედან ტიტვლად მეიდანზედ, მიდის მათთან თავადი ცოტნე დადიანი და ნება-ყოფლობით იმავე სასჯელს კისრულობს და 9) დამატებაში —ფარაონის ქალი თავისის მოახლეებით პოულობს მდინარე ნილოსში პაწია მოსეს, კალათში ჩაწვენილსა. წიგნი ისყიდება დამკვეთელთა წიგნის მაღაზიებში, თბილისში: წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისში: ბეჟანეიშვილთან, ჭილაძესთან და ხეთერელთანა. სხვა ქალაქებშიაც იგზავნება. ფასი ყველგან ორი შაურია. (10—5).

ქართული თეატრი.

ოთხშაბათს, 31 იანვარს, 1896 წ.
„ქართულ დრამატიულ საზოგადოების" დასისაგან
წარმოდგენილი იქნება
**ვ. ა. აბაშიძის** საბენეფისოდ
ქ-ნ ავალიშვილისა, კ. ყიფიანისა და კ. მესხის მონაწილეობით

I

**გაკოტრებული აზნაური**

კომ. 5 მოქმ. თარგმ. ვ. ა. აბაშიძისმიერ.

დასასრულ

**დივერტისმენტი**

მონაწილეობას მიიღებენ: ბბ. გრ. აბაშიძე, ბალანჩივაძე, არაქსიანი და კ. მესხი.

მონაწილეობას ღებულობენ: ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა, ჩხეიძისა და სხვ. ბ-ნნი აბაშიძე, ყიფიანი, კ. მესხი, გუნია, გედევანოვი, ადამიძე, კარბელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.
დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.
რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი

---

**ტფილისის კლუბის დარბაზში**
ხუთშაბათს 1 თებერვალს
ქართულ დრამატიულ საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად გაიმართება

**ბალი**

ბილეთის ფასი 2 მან. და 10 კ.
(3—2)

---

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში
კალენ. გუნიას მიერ გამოცემული

**საქართველოს კალენდარი**
1896 წ.

ფასი ათი შაური.
უმთავრესი საწყობი წერ. კითხვ. გამავრცელ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში.
(10—9)

---

**კაბინეტი კბილის ექიმთა**
**ვ. ი. ჯიჯინაძისა და ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.**
მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

---

**ვკისრულობ**
ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**
მსურველთ მოჰმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.
ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

---

ქართველთა ამხანაგობის გამოცემა № 36

**ღვინის დაყენება**

პროფესორის ვას. პეტრიაშვილისა
ფასი 2 მან. 50 კაპ.
ისყიდება ამხანაგობის მაღაზიაში ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ.

---

## ტფილისი, 31 იანვარი.

საპოლიტიკო საქმეები ერთობ აიწეწა. ევროპის სახელმწიფოების ეხლანდელი გარეშე საქმეთა მდგომარეობა ისე აირ-დაირია, რომ თვით უფრო გამჭრიახს დიპლომატსაც გაუჭირდება ამ საქმეთა აზრის გაგება, მათი მომავლის წინასწარმეტყველება. დღე არ გაივლის, რომ რაღაც უცნაური, მოულოდნელი რამ არ მოგვიტანოს. მოულოდნელი-მეთქი, რომ ვამბობ, ნუ გაგიკვირდებათ. გარეშე საქმეთა პოლიტიკა ხომ ხალხის ხელში არ არის და ეს ერთადერთი სფერაა, რომელშიაც ყველა სახელმწიფოების მთავრობას დიდი თავისუფლება აქვს მოქმედებისა. აქ საზოგადოების გავლენა პირდაპირ ამ ჟამად მაინც თავს ვერ იჩენს ხოლმე. ამგვარად გარეშე პოლიტიკის მართვა-გამგეობა თითო-ოროლა კაცის თვით მნებლობას ექვემდებარება. როგორც გინდათ სთქვით, და ერთად ერთი სარგებლობა ამ საქმეთა აწეწვ-დაწეწვიდამ, მარტო რუსეთსა რჩება,—ჯერ-ჯერობით მაინც.

საფრანგეთი ხომ ყურ მოჭრილი ყმაა რუსეთისა და რასაც უბრძანებენ იმას ასრულებს, მომავალში დახმარების იმედით. გერმანიაც რუსეთის პოლიტიკას აედევნა, და მეტი მოულოდნელობა რაღა იქნება, რომ ეხლა ორი დაუძინებელი მტერი თანხმად მოქმედობენ გარეშე საქმეებში. რასაკვირველია, არც საფრანგეთი და არც გერმანია იმას არ იტყვის, რომ ჩვენი ინტერესები ერთია ამ შემთხვევაშიო. ორივე იმას გაიძახიან, ჩვენ და რუსეთსა გვაქვს ამა და ამ საქმეში საერთო ინტერესი და ამისათვის თანახმად ვიქცევითო. ასეა თუ ისე, ორ დიდ ისტორიულ მოვლენაში ეს ახალი ჯურის არა ოფიციალური ,,სამთა კავშირი" (რუსეთი, საფრანგეთი, გერმანია) ერთად მოქმედობდა. შორს აღმოსავლეთში ჩინეთისა და იაპონიის ბრძოლაში, ამ ბნელეთის სამეფოისა და ცივილიზაციის შეტაკებაში ჩაერია რუსეთი თავისის ქეშიკებით და იაპონია ალაგმა.

ჩვენს ახლო აღმოსავლეთში ოსმალეთმა გაანადგურა საქრისტიანო ერი და ამ მეცხრამეტე საუკუნის დამლევის შემარცხვენელს ამბავშიაც სრულის თანხმობით იქცეოდა ორი მეგობარი და ორი მტერი, რომელთაც მტრობაც-კი დაავიწყდათ, როგორც რიგი იყო, ასეთს მძიმე საქმეში. მაგრამ აქ გამარჯვებული მარტო რუსეთის პოლიტიკა დარჩა, ის პოლიტიკა, რომელიც ყოველთვის გამსჭვალული იყო ამ საუკუნის დამდეგში შემდგარის ,,წმინდა კავშირის" პრინციპებით.

ეს გამარჯვება გამოიხატა მაში, რომ 1) ჩინეთმა სხვა და სხვა ნავთ-სადგურები და ადგილები დაუთმო რუსეთს, თუ სულ არა, ნახევრად მაინც: ზოგიერთს მათგანში თავისუფალი მსვლელობის ნება მისცა; 2) როგორც ხმები ისმის რუსეთსა და ოსმალეთის მთავრობას პირობა შეუკრავთ. ამ პირობაში თურმე სულთანი ითხოვს რუსეთისაგან ,,მფარველობას", ანუ პოლიტიკურის ენით რომ ვსთქვათ, პროტექტორატს. შეიძლება აქედამ რუსეთმა იმაზედ მეტი სარგებლობა ვერ გამოიტანოს, რაც 1833 წელში შეკრულს პირობიდამ, რომელიც თითქმის იმასვე ამბობდა, მაგრამ ამგვარი პირობის განახლებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

27 იანვრის დეპეშამ, ხომ ის გვამცნო, რომ ბულგარია აწ ისევ რუსეთის მოწყალე მფარველობის ქვეშ იქმნება და ამგვარად ათი წლის ბულგარიის ერის მოქმედება ჩხირკედელაობად გამოვიდა. აქაც რუსეთის პოლიტიკის ბედია, თორემ, სტამბულოვი რომ ცოცხალი იყოს, პრინცი ბორისი თავის დღეში არ იქმნებოდა მართლ-მადიდებლობის წესით მონათლული. გაიხსენეთ, რა ქნა ამას წინად სტამბულოვის სამინისტრომ, როცა პარლამენტს გამოაცვლევინა ის პარაგრაფი კონსტიტუციისა, რომელიც აღიარებს, რომ ბულგარიის მეფე მართლ-მადიდებელი უნდა იყოსო. ამ პარაგრაფის ცაფარვაკი რუსეთის ძლევა მოსილმა მთავრობამ ითავა და საქვეყნოდ მუქარა შეუთვალა ბულგარიას, მაგ პარაგრაფის შეცვლას ვეღარ მოვითმენო.

არ გასულა წელიწადიც ამ გამბედავი მინისტრის სიკვდილის შემდეგ და ბულგარიამ უეცრად პირი იბრუნა და კიდევაც „გადადგა პირველი ნაბიჯი", როგორც მთავრობის განცხადებაშია მოხსენებული, „ორ ერთა შუა მეგობრულის კავშირის განსამტკიცებლად". ამგვარად რუსეთის გარეშე პოლიტიკა, რასაკვირველია, სხვა-და-სხვა მისგან დამოუკიდებელის მიზეზების გამო, დღეს ისეთს ბრწყინვალე მდგომარეობაშია, რომლის მსგავსიც აღარ ახსოვს მას ამ საუკუნის დამდეგის შემდეგ.

კიტა.

## ახალი ამბავი

** დღეს, 31 იანვარს, ქართულ დრამატიულ დასისაგან ჩვენის სცენის საუკეთესო და ნიჭიერის არტისტის ბ-ნ ვ. აბაშიძის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება პიესა «ისპახიელი აზნაური» კომედ. 5 მოქ.-,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმანი ვ. აბაშიძისა, და გაიმართება დივერტისმენტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: გრ. აბაშიძე, ბალანჩივაძე, არაქსიანი და კ. მესხი. წარმოდგენაში, გარდა მობენეფისისა, მონაწილეობას იღებენ ჩვენის სცენის საუკეთესო არტისტნი. იმედია, ჩვენის საზოგადოების საყვარელი არტისტი ეცდება სავსებით დაატკბოს იგი თავისის ნიჭიერ თამაშობით, ხოლო თვით საზოგადოებაც ჩვეულებრივად თავისს ყურადღებას არ მოაკლებს ამ ძვირფასს თვალს ჩვენის სცენისას.

** ტფილისის საკრედიტო საზოგადოების თავმჯდომარედ ნამყოფს თავადს ამატუნს და ბუხგალტერს ამირაგოვს უკვე ჩააბარეს ბრალდების ოქმი, რომელშიაც ჩამოთვლილია ყველა მათ მიერ ჩადენილი უკანონო მოქმედებანი, რომელთა გამოც ბანკს დიდი ზარალი მოუვიდა.

** როგორც გაზ. „ნოვოე ობოზ.“-ში ვკითხულობთ, თავ. ზაქარია გიორგის ძის ერისთავისაგან მიუღიათ მცირე შენიშვნა, რომლითაც ურჩევს ქართველ ქალთა სკოლის ტიპის გამოსარკვევად შემდგარს კომიტეტს ხელმძღვანელ სკოლის სამეურნეო ხასიათი მისცენ.

** გუშინ, 30 იანვარს, რკინის გზის სახალხო მატარებელი მთლად გორამდე წავიდა და აქედამ იგივ უკან დაბრუნდება. დანარჩენ გზაზე ლიანდაგი არ გაუწმენდიათ თოვლისაგან; როგორც ამბობენ ორ დღეზე ადრე არ გაიწმინდება გზა, თუ ამინდი კიდევ არ შეიცვალა. ამ გზით იქით კარგი ამინდია და გახურებული მუშაობა. ჰიპოთეკაკენ დეპეშები-ც-კი აღარ მიდის.

** ხუთშაბათს, 1 თებერვალს, საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზე კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების წევრთა მორიგი სხდომაა დანიშნული. სხდომა განიხილავს მიმდინარე საქმეებს და სამეცნიერო მოხსენებათ რ. ა. მარკისას: 40 შემთხვევა დიფტერიტისა, რომელთათვისაც შრატით უწამლიათ და ნ. ი. კამეჟვისას; გაგრძელება მოხსენებისა ხელოვნურ კბილების შესახებ.

** ხვალ, 1-ლს თებერვალს, ტფილისის კლუბის დარბაზში ქართულ დრამატიულ საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად გაიმართება „ბალი“ რომელიც იმედია ქართველ საზოგადოებას ბლომად მიიზიდავს. ამ წელს ჩვენს დრამატიულ საზოგადოებას მეტად დიდი ხარჯი მოუვიდა ახალი პიესებისათვის ტანისამოსის შესაძენად და აგრეთვე მისთვის, რომ საუკეთესო არტისტები მოიწვია. გარდა ამისა საზოგადოება, რაც-კი შეიძლებოდა, სცდილობდა გაეუმჯობესებინა ჩვენი სცენა ყოველ მხრივ; ამისათვის დარწმუნებულნი ვართ საზოგადოება ერთგულად მოეკიდება ამ საქმეს და დაეხმარება დრამატიულს საზოგადოების გამგეობას.

** ჩვენ მივიღეთ ბ-ნის ივანე როსტომაშვილის მიერ გამოცემული № 3 და № 4 წიგნები—„გმირი როლანდი“ ძველი თქმულება 3 სურათით. თარგმ. ა. ჯაფარიძის მიერ. გაგზავნით სამი შაური და „დროა გონს მოვიდეთ“! ლვინისა და არყეული სასმელების წინააღმდეგ. ნიკოლოზ ბარნაბიშვილის მიერ. ფასი სამი შაური გაგზავნით. პირველი წიგნი შეიცავს 38 გვერდს, ხოლო მეორე 32. ქაღალდი ორთავ გამოცემათა საკმაოდ კარგია.

** ტფილისის ქართველ ახალგაზრდობას, როგორც გავიგეთ, განუზრახავს ამ ყველიერში ქართული მუსიკალური და ლიტერატურული დილა გამართოს ხალხისთვის ავჭალის იაფ ფასიან სასადილოში. მასვე აზრად აქვს ქართული წარმოდგენა გამართოს დაკლებულის ფასებით სათავად აზნაურო თეატრში. სწორედ სასურველია ხალხს გაუმართოთ ამგვარი სასარგებლო და სასიამოვნო დროს გატარება და ამიტომ იმედია ყველანი ხელს შეუწყობენ ინიციატორთ კეთილ-განზრახვის სისრულეში მოსაყვანად.

** გამოვიდა 1-ლი № ჟურნალ „მოამბისა“ შემდეგი შინაარსით: I „გამარჯვებული ნიკო-“—მოთხრობა ეკ. გაბაშვილისა II „ევა.“—მოთხრობა რევაზ ფალავანდიშვილისა III „ელზასელი ქალი.“—მოთხრობა—ლი—გ. IV „ცეცხლითა და მახვილითა.“—ნაწილი მესამე.—რომანი გენრიკ სენკევიჩისა, თარგმანი გრ. ყ—ძისა (გაგრძელება) V „იულიოს კეისარი.“—ხუთ-მოქმედებიანი დრამა უილიამ შექსპირისა, თარგ. ინგლისურიდან ივ. მაჩაბლისა VI „მეფე ერეკლე და დემეტრე მიღლავარი.»—ვ. ცხვილოელისა VII „რძე და მისი სხვა-და-სხვა გვარად გამოყენება.—V.—კარაქი და ერბო.—პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა (გაგრძელება) VIII „მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან.—III.—პ. ჭარაიასი IX «მთიულეთი 1804 წელსა.» —XII.—ისტორიული ამბავი ალ. ფრონელისა (დასასრული) X „სიტყვა თქმული ქუთაისის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თ. სვიმონ წერეთლის მიერ“.

ქრონიკა:

XI «სალიტერატურო მიმოხილვა.»—ზრდა ჩვენის ლიტერატურისა.—50-იანი წელნი და მის შემდეგნი ათეულნი.—რით იჩინა თავი 80-იანმა წლებმა?—ერთი მისი სამსახურიცა.—საერო კილო ჩვენს პოეზიაში.—როგორ ასურათებენ ჩვენს ცხოვრებას ახალნი მწერალნი?—ვინ გვაძლევს იმედს?—გ. ყიფშიძისა. XII «შინაური მიმოხილვა.»—კმარა!—მეთვალყურეს სვე-ბედი.—რას ვეძებთ წარსულში.—კრწანისის ამბავი.—თ. რ. ერისთავის იუბილეი.—ცხრათავიანი დევი.—სთავად-აზნაურო სკოლის საქმე.—„ივერიის“ ნაჩვენები გზა. XIII „უცხოეთის მიმოხილვა. XIV „† გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა“ (ნეკროლოგი) XV „განცხადებანი.»

დამატება:

XVI „საქართველოს სიძველენი.“

** ჩვენ მივიღეთ ახლად დაბეჭდილი წიგნი სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები „აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი“ შედგენილი ზ. ჭ—ისა. წიგნი დაბეჭდილია სუფთად, შეიცავს 84 გვერდს და ღირს 15 კაპ. წიგნში მოთხრობილია ბევრი რამ საინტერესო და საყურადღებო ცნობები შესახებ საქართველოს ქართველ რომის კათოლიკეებისა. სხვათა შორის მოყვანილია პეტრე ხარისჭირაშვილის ევროპაში გადასახლება, ფრანციაში (მონთობანი) ქართული სტამბის დაარსება და ქართული წიგნების ბეჭდვა, კონსტანტინოპოლში სტამბის დაარსება და წიგნების ბეჭდვა, ვენეციაში ლაზარეს კუნძულზე.

** სოფ. ხუმელაგა (კავკავის მაზრა): ხუმელაგაში წარსულის წლის დეკემბერს გარდაიცვალა ერთი ასის წლის დედაკაცი, ხუმელაგაში მცხოვრების ასლამირზა ქალოევის დედა. განსვენებულს თავისს სიცოცხლეში სასმელი გემოდ არ უნახავს და არც თუ ოდესმე ავად ყოფილა რაიმე ავადმყოფობით. უკანასკნელ დღემდე ეს მოხუცებული დედაკაცი თვალით კარგადა ჰხედავდა და საქმესაც აკეთებდა.

** სოფ. ბათაყო, (კავკავის მაზრა): ოც-და-ორს ამ თვეს ს. ბათაყოში მცხოვრებს ქოქოევს საღამოთი ლუმელი ადრე დაეხურნა და დაწოლილიყო. დილით ქოქოევი დიდხანს არ ადგა ლოგინიდამ. მოთმინებიდამ გამოსულმა ოჯახობამ გაღვიძება დაუწყო, მაგრამ უბედური ნახშირის სუნს დაებნიდა და გარდაცვლილიყო.

---

## კორესპონდენცია.

**ბაქო.** აგერ მეორე წელიწადია, რაც საცდელად სადგურ ბაქოში და კიშლაში ზიანგისე რეკტტას ახალი სისტემის ისრები შემოიღეს, რომელიც გაკეთებულია ოდესაში ინჟენერ გარჩისის ქარხანაში.

ეს ისრები იმითია კარგი, რომ სადგურიდამვე შეიძლება ისრების დაყენება და გზის მაჩვენებლისა (ДИСКЪ) ისე, რომ მეისრეს აღარ სჭირდება სადგურიდამ ისართან მისვლა ერთი ლიანდაგიდამ მეორეზე დასაყენებლად. სადგურ ბაქოში მუშაობს ამ მანქანებით რვა სემოფორი და ჩვიდმეტი ისარი. თითო ამგვარი მანქანა ღირს ოთხი-ათასი მანეთი. თუ რომ ამ მანქანამ ივარგა, მაშინ ზათუმამდის ყველა სადგურებზედ დასდგამენ. უმთავრესი ღირსება ამ მანქანებისა არის ის, რომ სადაც დღემდის სჭირდებოდა ათი ან ხუთმეტი მეისრე, იქ ეხლა სამი ან ოთხი და სჭირდება, ისიც მხოლოდ მანქანების სუფთად შესანახავად. ქქვსს იანვარს ინჟენერმა ბ ნმა გარჩაკოვმა ბაქოში ყოფნის დროს დასინჯა ეს მანქანები და ძალიან მოიწონა.

ეს ფრიად სასარგებლოა რკინის გზისათვის, რადგანაც ბევრს ხარჯს შეუმცირებს, მაგრამ ისარზე მსახურთათვის-კი ძალიან სამწუხაროა, რადგანაც რიცხვით სამოც კაცამდე მარტო ამ ორ სადგურიდამ დათხოვნილ იქმნენ და უსაქმოდ დარჩნენ

ზოგს იმათგანს უმსახურია ათიხუთმეტი წელიწადი მეისრეთ, თვეში თხუთმეტი მანეთისთვის დღე ღამესთან გაუსწორებია, დარაჯობაში ორმოცი მბრძანებელი ჭყოლია და დღეს-კი ამ წვალების გამომგლეჯს პირში ჩალა გამოავლეს, ერთი ლუკმა პური გამოჰგლიჯეს პირიდამ და სამსახურიდამ დაითხოვეს. როდესაც ყველა სადგურებზედ დასდგამენ ამ მანქანებს ბათუმამდის, მაშინ ხომ მეისრეთაგანი მეხუთედი ნაწილიც აღარ დარჩება სამსახურში, უნდა ყველა დაითხოვონ. რა ქნას ამდენმა უსაქმურმა ხალხმა?.. რომ ვიანგარიშოთ, რიცხვით ათასამდე კაცი დარჩება უსაქმურად. სად წავიდნენ, ვინ აღმოუჩენდებათ ამათ შემწედ?.. არავინ! ბევრი ნაწილი ამათგანი შავა მოჯამაგირეთ, ვინც მოახერხებს, მაგრამ მომეტებული ნაწილი-კი უსაქმოდ დარჩება. თუ თავისს სამშობლო სოფელში იფიქრებს დაბრუნებას, სამწუხარო ეს არის, რომ ზოგის მათგანის ზედზედ ერთი მტკაველა საკუთრება მამულიც არსად მოიმებნება ამ ჟამად და არც თვითონ გაიწევს სოფლისაკენ, რადგანაც კარგად იცის, რომ იქაც აუარებელი ხარჯის გადახდა დასჭირდება: სამამასახლისო, სამწერლო, საკომლო, საგზირო, ბეგრისა და სხ. და სვ. ამისთანა ხარჯის გადახდა უმამულო და უსაქმო კაცისთვის, ყველა დარწმუნდება, ძალიან გასა-

---

# ფელეტონი

### ცრემლი სიბრალულისა

(ვუძღვნი განდეგილს)

ცრიხის დარაჯი მდუმარე  
მიდის და მოდის ნელ-ნელა;  
სდუმს ცრხე, ვითა სამარე,—  
ღრმა ძილს მოუცვამს სუყველა.  
არ სძინავს მხოლოდ იქ ორს კაცს:  
მზე-ჭაბუკს ტანჯვას ჩვეულსა  
და ჯალათს გულქვას, ფლიდს,  
თვალთ-მაქცს,  
უსინიდისო სხეულსა.  
ერთი ხვალ ელის სიკვდილს მწარს,  
დაგმობას, დამცირებასა,  
მეორე—მტარვალთ საჩუქარს  
და ურცხვთა დაპირებასა;  
ერთი თავს სწირავს სიყვარულს,  
სისხლსა ჰღვრის მამულისათვის,  
მეორე—თავს ჰკვეთს დაჩაგრულს  
დაჩაგრულთავე ხსნისათვის,—  
დახავსებია გონება,  
გრძნობისგან განყენებულა  
აღუთქვამს ცოდვის მონება,  
ხალხთაგან შეჩვენებულა!..  
შესჩერებია უგრძნობელს  
საპყარი, ქვეყნის მოყვარე,  
იბრალებს გულქვას და გულ-ბნელს  
მისთვის არს მხოლოდ მწუხარე!—  
იბრალებს მოძმეს დაკარგულს,  
კაცსა ველურის გრძნობისას,  
სტირს ცოდვის გზაზე მოარულს,  
სასტიკს მტერს თანაგრძნობისას  
და ნაცვლად მის, რომ ღმერთთანა  
ლოცვა აფრინოს, შესწიროს,  
დასჯის წინ თავის ქვეყანა  
და თავის თავი იტიროს,—  
ჯალათს ავედრებს ცის მპყრობელს  
მქონე უმანკო გულისა  
და იმის თვალებს მადლ მფრქვეველს  
სდის ცრემლი სიბრალულისა!..

გრ— ა.

---

### ჩეხიის „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ (მატიცა).

(თარგმანი).

დასასრული *)

ჩეხელები ყოველივე შემთხვევით სარგებლობენ, რომ „საზოგადოების“ თანხა გააძლიერონ. ყოველი მიტინგისა და საზოგადო კრების დროს ერთი ვინმე დამსწრეთაგანი ჩამოივლის და „მატიცა“-ს სასარგებლოდ ფულს ჩამოითხოვს. ყოველივე კრების გათავების შემდეგ კარებთან და გხვდებათ ერთი ვინმე, რომელიც გამოგიწევთ ქუდს და ამ სიტყვებით მოგმართავთ:—„მატიცა“-სთვისო.

ბალისა და სხვა თავ-შესაქცევების დროს ქალები ჰკრებენ შეწირულებას „საზოგადოებისათვის“.

შებრძანდებით სადმე რესტორანში და აი რას დაინახავთ. ერთ-ერთ მაგიდას შემოსხდომია რამდენიმე პირი. ერთი მათგანი წამოდგება და სიგარას აწევს მაღლა:

—ვყიდი სიგარას „მატიჩკა“-ს სასარგებლოდ! ორი კრეიცერი ღირს, ვინ გაიღებს მეტს? ამ დროს მთელს რესტორანში სიჩუმე ჩამოვარდება და ყოველის კუთხიდამ გაისმის:

— სამი!

— ოთხი!

— ხუთი!

სიგარის პატრონი მიდის მაგიდასთან და ფულებს ჰკრებს ქუდში. ვაჭრობა კარგა ხანს განეგრძობა ხოლმე, საზოგადოება გატაცებულია. ბოლოს ერთ გროშად ღირებული სიგარა გაიყიდება ორ ან სამ გულდენად. ამ ფულებს ჰყრიან განსაკუთრებულ კოლოფში, რომელზედაც აწერია „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისათვის“.

ამგვარი კოლოფები ათასობით გაკეთებულია სხვა-და-სხვა საზოგადო და სავაჭრო დაწესებულებაში ჩეხიაში, მორავიაში და სილეზიაში.

„მატიცა“-ს წევრების ხვედრი ფულის გარდა რამდენიმე ათასობით შემოდის შემოწირულებანი.

ყოველის ინტელიგენტ ჩეხის ცხოვრებაში არის ისეთი შემთხვევები, როცა „მატიცას“ სასარგებლოდ ფულებს შესწირვენ ხოლმე. ყოველის ჩეხელის ქვეყნად გაჩენა უთუოდ ამგვარ შეწირულებით აღინიშნება: მონათვლის დროს სტუმრებს შორის შეჰკრებენ ხოლმე ფულს და აგზავნიან „მატიცას“ კანცელიარიაში. როცა სკოლაში გაგზავნიან ბავშვს, მშობლები ამ ღირს-შესანიშნავის დროის ნიშნად უთუოდ ფულს შესწირვენ ხოლმე. ერთი კლასიდამ მეორე კლასში გადასვლის დროს თვით ყმაწვილებიც ჰკრებენ «მატიცას» სასარგებლოდ ფულს. ზოგი მათგანი საუზმის ფულს „მატიცას“-თვის სწირავს და თითონ-კი მშიერი რჩება.

კლასიკურს და რეალურს გიმნაზიებში მოსწავლეები ჰკრებენ მთელის წლის განმავლობაში იმდენ ფულს, რომ „დამფუძნებელის“ დიპლომს ღებულობდნენ. ამგვარი დიპლომი იმათ ეძლევათ, ვინც ას გულდენზედ ნაკლებს არ შესწირავს „მატიცას“.

ამ დიპლომს ჩამოჰკიდებდნენ ხოლმე კლასში და მერე, როცა იმ კლასიდამ გადავიდოდნენ, თან მიაჰქონდათ. რასაკვირველია, დიპლომთ ციცხვი ყოველს წელიწადს მატულობდა.

ეხლა-კი მთავრობამ აღუკრძალა მოსწავლეებს ეს. ეხლა მხოლოდ იგინი შეჰკრებენ ხოლმე რამდენსამე ათ გულდენს, რომელნიც გიმნაზიას ათავებენ და ატესტატს ღებულობენ. უმცროსს კლასებში ფულებს ფარულადა ჰკრებენ. მთავრობის აღკრძალვამ უფრო გააცხარა „მატიცას“ სასარგებლოდ ფულების მოკრების აგიტაცია.

ახალგაზდა ყმაწვილი კაცი, როცა ვიზიტის ბარათები დასჭირდება ხოლმე, განსაკუთრებულს „მატიცას“ გამოცემულს ქაღალდზედ აბეჭდვინებს თავისს სახელსა და გვარს. ამ ქაღალდზე „მატიცას“ ემბლემა არის გამოსახული. აქედამ შემოსული ფულიც „მატიცას“ სასარგებლოდ იკრიბება.

„მატიცა“ სცემს განსაკუთრებულს

*) იხ. „ივერია“ № 23.

ჭირია. მაშასადამე, დიდს გაჭირვებას გამოივლის ეს ჩვენი უსაგოდ დარჩენილი ხალხი.

ალ. ნადირაშვილი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ.)

იმის შემდეგ, რაც ლორდმა სოლსბერიმ პირდაპირ შეურაცხ-ჰყო სულთანი და ლორდი როზბერიც მის წინააღმდეგ ამხედრდა, ინგლისელები ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ეგრედ წოდებულ რუსეთ-ოსმალეთის კავშირზე. მართლაც ეს გარემოება თავდებია, რომ ადვილი მოსალოდნელია მოხდეს ეს დაკავშირება, მაგრამ დღემდის მაინც კავშირი მხოლოდ სიტყვით არსებობს და საქმით? საქმით-კი ჯერ ბევრი წყალი ჩაივლის, ბევრნაირად ასწონ-დასწონვენ პოლიტიკურს სასწორზედ ამ ნაბიჯს და მერმე ისე გადასდგნენ ოსმალები.

„როგორც არა ერთხელ მითქვამსო, ამბობს გაზ. „მოსკოვის ვედომოსტ"-ების კორესპონდენტი, გაზი-ოსმან-ფაშა და მარშალი რეუფ-ფაშა ამბობენ, რომ სულთანისა და მეფის შორის შეხვედრის აზრი არასოდეს არ ყოფილა დატოვებული და ამ ჟამად ხომ საქმემ წინ წაიწიაო. ოსმალეთის ერი ბედნიერი იქნებოდა და იამაყებდა, რომ ეს შეხვედრა როგორმე მოხდეს და, გარდა ინგლისის საელჩოსი, ყველა საელჩოები დარწმუნებულნი არიან კონსტანტინოპოლში, რომ ეს საუკეთესო საშუალებაა სომხეთა საქმის გარდასაწყვეტადაო. საკვირველი არ არის, რომ პლევნის შემდგომ მიდხათ-ფაშის მიერ წარმოთქმული აზრი, რომ ოსმალეთი რუსეთის მოწინავე დარაჯად გახდება, რადგანაც ინგლისი ცუდად ეპყრობაო, დღეს ეს აზრი დიდს ბრიტანიას საფრთხობელად გადაჰქმნიაო?

სხვათა შორის, როგორც დამამტკიცებელს საბუთს უჩვენებენ იმ გარემოებასაც, რომ სულთანმა განსაკუთრებული აუდენცია დაუნიშნა ბ-ნს ნელიდოვს და აუდენციას არც ერთი სასახლის მოხელე არ დასწრებიაო.

ამ რიგად კავშირი რუსეთ-ოსმალეთისა თუმცა არ არსებობს ჯერ დროებით, მაინც ყველაფერი გარემოება ხელს უწყობს, რომ ოსმალები რუსებსა და ფრანგებს დაუახლოვდნენ. მაგრამ რა შედეგი მოჰყვება ამას, ეს, თუ წარმოვიდგენთ, ბევრს არაფერს შესძენს რუსეთს, რადგანაც ადვილი მოსალოდნელია მას კვლავ აეშალოს სადღეღელი კონსტანტინოპოლის დაპყრობისა და ამით კი მთელს ევროპას საწინააღმდეგოდ გამოიწვევს, რომელი გარემოებაც, ეჭვი არ არის, საგონებელში ჩააგდებს...

## უცხოეთი

**ინგლისი.** „ვესტმინსტრის გაზეთს" მოჰყავს ხაზინის კანცლერის (ფინანსთა მინისტრის) სერ მაიკელ-გიკს-ბიჩის სიტყვა და მკითხველების ყურადღებას მიაქცევს მას, რომ ხაზინის კანცლერი მთელი ევროპის სახელმწიფოებს იწვევსო. გიკს-ბიჩი გაგვახსენებს ამ საუკუნის დამდეგის ომებს და დასძენს: ჩვენ (ინგლისელები) არ დავდგომივართ გადაგვარების გზას. თუ ოდესმე რომელიმე უცხო ერი, კიდევ მეტს ვიტყვი, რამდენიმე უცხო ერი ერთად თავს დაგვესხმის, ინგლისი უკან არ დაიხევს და პასუხს გასცემს მას. მაგრამ ხაზინის კანცლერმა შეერთებული შტატები-კი გამორიცხა „უცხო ერთა" რიცხვიდამ, დიდის თავაზიანობით მოიხსენა იგი და განაცხადა, რომ ინგლისს აზრადაც არ მოსვლია მონროეს დოქტრინის დარღვევა და მხოლოდ ისა ჰსურს, რომ დავა მშვიდობიანად გათავდეს. აქ ყველაზედ უფრო საყურადღებო ის არის, რომ ინგლისი საშინლადა სცდილობს შეერთებულ შტატებთან უთანხმოება მოსპოს და მშვიდობიანობა დაამყაროს.

—

გლადსტონისა და ლორდ-როზბერის სამინისტროს დროს ირლანდიის ობერ-სეკრეტრად ნამყოფმა მორლეიმ ამ დღეებში ერთს მიტინგზედ სიტყვა სთქვა: ინგლისის გარეშე საქმეთა პოლიტიკა ეხლა კრიზისშია. ეს კრიზისი-კი გამოიწვია შეცდომამ, ერთის მხრით ლორდ-სოლსბერისა, ხოლო მეორეს მხრით შეერთებულის შტატების პრეზიდენტისა და გერმანიის იმპერატორისამ. ვილჰელმს არ უნდა გაეგზავნა პრეზიდენტი კრიუგერისათვის დეპეშა; სოლსბერს დიდი შეცდომა მოუვიდა მონროეს დოქტორინა რომ უარ-ჰყო, პრეზიდენტი კლივლენდი-კი წინ-დაუხედავად მოიქცა, რადგან ისეთი რამ მოითხოვა ინგლისიდამ, რის აღსრულებაც არც ერთს სახელმწიფოს არ შეუძლიან, რომელსაც-კი აქვს თავისი თავის ერთი ბეწო პატივისცემა. იგივე ამბობს, რომ მიუცილებელია ვენესუელას საქმის გარდაწყვეტა მედიატორეთა სამართალს მიენდოსო.

— ინგლისის მთავარ-მინისტრმა ამ დღეებში სიტყვა წარმოსთქვა ერთის ნადიმის დროს. ეს სიტყვა ზემო მოყვანილ მორლეის საპასუხოდ არის წარმოთქმული. სოლსბერიმ სთქვა, რომ ირლანდიამ უნდა დაანებოს თავი ჰომრულზე ოცნებასაო. ეს თვით ირლანდიის წარმატებისათვის არის საჭირო და მგონია, რომ მომავალი თაობა ირლანდიელებთა თვითვე მიხვდება, რომ მათი კეთილდღეობისათვის მიუცილებელია ისეთსავე მდგომარეობაში იყვნენ, პოლიტიკურად, როგორც დღეს არიანო. ჩვენ-კი, ინგლისელები, ტრანსვაალის საქმემ დაგვარწმუნა, რომ ჰომრული ჩვენთვის დიდად საზიანო იქნებაო. ტრანსვაალსაც ხომ სრული ავტონომია აქვს შინაგან საქმეთა მართვაში, ხოლო რაიცა შეხება გარეშე საქმეთა, ინგლისის მთავრობის კონტროლის ხელქვეშ უნდა ჰმართონ იგი საქმეები, მაგრამ რას ვხედავთ? დღეს ყოველ ეჭვს გარეშეა ის ფაქტი, რომ ტრანსვაალმა ჩვენ ზურგი მოგვაქცია და სხვა უცხო სახელმწიფოსა სთხოვდა მფარველობასაო. რაიცა შეეხება მონროეს დოქტრინას, ჩვენ მისი წინააღმდეგი თავის დღეშიაც არა ვყოფილვართ. ხოლო სომხეთა საქმეების გამო უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ სრულიად არ გვიწევია წინააღმდეგობა სულთანისათვის და სხვა სახელმწიფოებთან თანხმობით ვიქცეოდითო. სოლსბერიმ ის-კი არ დამალა, რომ ოსმალეთის აზიის მცხოვრებთ დიდი ტანჯვა-წამება მიადგათ, რომლის მსგავსი აღარ ახსოვთ ჩინგის-ყაენისა და ტამერლანის შემდეგაო.

ლიბერალთა ორგანოები („დაილი ხრონიკლი" და «დაილი ნიუზი») ჰკიცხვენ ამ სიტყვებისათვის მთავარ-მინისტრს და ამბობენ, დიდი სამარცხვინო საქმე ჩაიდინა, სხვა სახელმწიფოებისა და პორტის მოქმედებას რომ ხმა-ამოუღებლად დაემორჩილა და არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწიაო. განგებ დაამახინჯა კიპრისა და ბერლინის ხელშეკრულობის აზრი, რათა თავიდამ აეცილებინა ის მოვალეობა, რომელსაც ეს ორი ხელშეკრულობა ავალებს ინგლისის მთავრობას.

**ჩინეთი.** ნანკინიდან იტყობინებიან, რომ იქ მოსულა 17 გერმანელი ოფიცერი და 20 უნტერ-ოფიცერი, რომელნიც ჩინეთის მთავრობას მოუწვევია ჯარების ინსტრუკტორებათ. ჩინეთში კიდევ მოელიან ოფიცრებს გერმანიიდამ, რაც ამტკიცებს, რომ იმპერატორს საბოლოოთ გარდაუწყვეტია ევროპიულს წესრიგზე მოაწყოს თავისი მხედრობა.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ და წიგნებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— სურდო დიდი რამ არ არის, მაგრამ მეტად ხშირი სტუმარია ადამიანისა და ამასთან უსიამოვნოცა. ადამიანს ავ-გუნებაზე დააყენებს ხოლმე და ხშირად ისე აწუხებს, რომ კაცმა არ იცის როგორ მოიშოროს თავიდამ და ძალა-უნებურად იტანს ამ დაუპატიჟებელ სტუმარის ზედ მოსვლას. ეხლა, როგორც ეტყობა, ერთი უებარი წამალი მოუგონიათ, მრავალჯერ გამოცდილია თურმე და სწორედ ზედ-მიწევნილიაო, რომ კაცმა ეს ხშირი სტუმარი თავიდამ მოიშოროს. დოქტორი კერრის-კსანტენი, რომელსაც ამ წამლისათვის მიუგნია, ხშირად უცდია და დაუნახავს, რომ ძალიან კარგად მოქმედობს, აი რას გვირჩევს: ერთი მუჭა პურის არაყი შეისრუტეთ ცხვირში. ცოტა ხანს ტკივილს იგრძნობთ, თითქო ცხვირი დაგეწვოთო, მაგრამ ძალიან მალე ტკივილი გაგივლით და ცხვირიდამაც გაძლიერებული დენა მალე დაიწყებს კლებასაო. თუ სურდომ არ გაიარა, მეორედაც უნდა იგივე წამალი იხმაროთო. არ შემხვედრიაო, ამბობს იგი მკურნალი, რომ სამ გზით ეგრე ხმარებულს წამალს სულ არ მოერჩინა კაცი სურდოსაგანაო. (ნ.)

— საათი იმოდენად სისრულეშია მოყვანილი, რომ ძნელია ეფიქრა ვისმე რომ კიდევ შესაძლო იყო „რამე" მოჰმატებოდა საათს. ეხლა, როგორც ეტყობა, საათისათვის ენაც ჩაუდგამთ ასე, რომ დრო და ჟამის მიმავალობას სიტყვებით გატყობინებთ. საფრანგეთის მესაათეს, ჟენევაში, სახელად სივანს, ისეთი საათი გაუკეთებია, რომ თუ მოისურვებთ, რამდენი საათია სიტყვით შეგატყობინებთ. ზარის რეკით და სხვა ამისთანით რომ ჯიბის საათი დროთა დენას გაცნობებთ, ეს ახალი ამბავი აღარ არის. დღეს ამისთანა საათები ხშირია, ახალი ის არის, რომ დღეს ისეთი უბის საათი გაუკეთებია ხსენებულს სივანს, რომ საათი სიტყვით გეუბნებათ რამდენი საათია. ეხლა სივანი ცდილობს თურმე სხვაგვარ საათებსაც ამისი უნარი მისცეს. იგი შესდგომია გასაღვიძებელი (ბუდილნიკი) საათიც აალაპარაკოს და იმედოვნებს, რომ ჩემი გასაღვიძებელი საათი ისე დაიძახებს: „გაიღვიძე"! „დროა ქვეშაგებიდამ ადგე", რომ მთელი სახლი გაიგონებსო. (ნ.)

— ბერლინში ვიღაც კელცოვს ახალი ფონოგრაფი გაუკეთებია. ეს მისი ფონოგრაფი იმითია განსხვავებული ედისონის ფონოგრაფისაგან, რომ უფრო იეფია და ადვილად მოსახმარიო. კელცოვს ელექტროტეხნიკის საზოგადოებისათვის უსინჯვინებია ეს თავისი ფონოგრაფი და ძალიან მოსწონებიათ. (ნ.)

## საქართველოს თავადნი.

—

თავადნი მაქსიმენიშვილნი. 6 დეკემბერს 1850 წელს უმაღლესად დამტკიცებულს გურიის თავადთა საოჯახო სიაში აღნიშნულნი არიან თავადნი მაქსიმენიშვილნი: 1) პრაპორშჩიკი დავით გიორგის ძე; შვილნი მისნი: პრაპორშჩიკი ვახტანგ დავითის ძე, ცოლი მისი ანნა და შვილი ამათი სეიდანი; პრაპორშჩიკი გიტო დავითის ძე; დოდო, სალომე, ბარბარე და აღათი დავითის ასულნი; 2) ქაიხოსრო მაქსიმეს ძე; 3) ნიკოლოზ მაქსიმეს ძე, ცოლი

---

ფოსტის ქაღალდსა და კონვერტს. ამნაირად ახალგაზდათა სიყვარულიც შემოსავალს აძლევს საეროვნო დაწესებულებას.

„მატიცას" კანცელარიის ფანჯარაში გაკეთებულია ხვრილი, რომელშიაც ვისაც ჰსურს ფულებს ჩააგდებს. ამ ფანჯარის შემოსავალი თვეში რამოდენსამე ას გულდენს აღემატება.

ზოგიერთ ჩეხელს „მატიცას" სასარგებლოდ ფულების მოკრება რაღაც მანიადა აქვს გარდაქცეული.

მთელს ჩეხიაში განთქმულია რესტორანი „U Pleku". აქ იკრიბება მრავალი ხალხი სხვა-და-სხვა წოდებიდამ: პროფესორები, სტუდენტები, ლიტერატორები, მოხელეები და ვაჭრები. მათ შორის ერთს კაცს პირველი ადგილი უჭირავს. ეს გახლავს ხარაზი ბილეკი. ყოველს საღამოს ნახავთ თქვენ მას ამ რესტორანში.

შესრულდება თუ არა ცხრა საათი ბილეკი სტოვებს თავისს ადგილს, აიღებს ხონჩას ხელში და ჩამოივლის სტუმრებთან სულ ერთია ნაცნობი ხართ, თუ არა—მაინც გამოგიწოდებსთ ხონჩას. ყოველი სტუმართაგანი დასდებს უთუოდ ერთ კრეიცერს მაინც. პატარა ხანს უკან ბილეკი დაბრუნდება თავის ადგილზედ, დათვლის ფულებს და ჩაჰყრის ყუთში, რომლის გასაღებიც აბარია რომელსამე სტუმართაგანს.

ბილეკს თხუთმეტი ათასი გულდენი შეუკრებია.

ყოველი მწერალი, რომელიც-კი თავის ნაწარმოებს გამოსცემს, უთუოდ შესწირავს რამოდენსამე ათ ეგზემპლიარს „წერა-კითხვის გამავრცელებელს „მატიცა"-ს". ჩეხიაში მრავალი წიგნები და ბროშიურები გამოდის, რომლის შემოსავალი დანიშნულია „მატიცა"-სათვის.

თვით «მატიცა» ჰყიდის ფოსტის ქაღალდს, კონვერტს, სავიზიტო ბარათებს, წუმწუმას თავისსავე სასარგებლოდ.

ჩეხელი ფაბრიკანტი და ვაჭარი სცდილობს რაიმე ნაირად მიიღოს «მატიცა»-საგან ეგრედ წოდებული პრივილეგია, ეს პრივილეგია იმაში მდგომარეობს, რომ ვინც მას მიიღებს ნება აქვს თავისს სავაჭროს დააკრას „ჩეხელთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი „საზოგადოების სასარგებლოდ?" ამ პრივილეგიის მისაღებად ხანდახან დიდ ფულს იხდიან ვაჭრები, მაგრამ ამით არაფერს აგებენ, კიდევაც იგებენ, რადგან ჩეხელი იმ ვაჭრის საქონელს უფრო ეტანება, რომელსაც ასეთი პრივილეგია აქვს.

ჯვარის წერის დროს „მატიცას" გამოცემულ ბილეთებზედ აბეჭდინებენ დაპატიჟებას. ქორწილის ნადიმის დროს სტუმრები ჰკრებდენ ხოლმე ფულს „მატიცას საქორწილო დიპლომის" სასყიდლად. ეს დიპლომი უნდა ამშვენებდეს ახალ ჯვარდაწერილთა სასტუმრო ოთახს.

სიკვდილის დროს ყველა ჩეხელი უსათუოდ რამდენსამე გულდენს უანდერძებს «მატიცას". გვირგვინები, რომლებითაც ნათესავები, ნაცნობები და მეგობრები ამკობენ მიცვალებულის კუბოს, გაკეთებულია ხოლმე „მატიცას" მიერ გამოცემულ ბილეთებისაგან. ხშირად მომჩივანნი შეთანხმებიან ხოლმე იმ პირობით, რომ „მატიცას" შესწირონ რამდენიმე გულდენი. მოგებული სანაძლეოც „მატიცას" სასარგებლოდ არის დანიშნული. ხშირად ადვოკატები თავისი გასამრჯელოს ფასიდამ რამდენსამე ნაწილს „მატიცასათვის" გადასდებენ ხოლმე. ამასვე შვრებიან ექიმები.

დიდი შემოსავალი აქვს „მატიცას" წარმოდგენებიდამ, კონცერტებიდამ, ლექციებიდამ, ბალებიდამ, მასკარადებიდამ და სხვა თავ-გასართობებიდამ.

28 სექტემბერს დღესასწაულობენ ჩეხის მფარველის წმ. ვაცლავის მიცვალებას. ამ დღეს მთელს ჩეხიაში ჰკრებენ შეწირულებას ეგრედ წოდებულს „წმიდა ვაცლავის წყალობა მატიცას." აქნამდის ამგვარად შეკრებილია ასი ათასს გულდენზედ მეტი. საერო გამოფენამ ჩეხიაში—1891 და 1895—წელში ბევრი შესძინა „მატიცას" თანხას.

ამ გამოფენის დროს, სხვა და სხვა ადგილზედ იყო დადგმული ჰქის ყუთები, სადაც სტუმრები ჰყრიდნენ ფულებს. გასაკვირვალი ის არის, რომ ფულს გარდა ამ ყუთში იპოვეს მომგებიანი ბილეთები, საყურეები, ბროშები, სამაჯურები. ამ გამოფენაზედ ცალკე პავილიონში იყო გამოფენილი მილიონი, რომელიც სულ თითო კრეიცერიდამ შესდგებოდა. ამ პავილიონში შემსვლელს ფული უნდა გადაეხადა; ეს ფული «მატიცას» სასარგებლოდ მიდიოდა.

დეპუტატებმა, რომელნიც ამ გამოფენას დაესწრნენ, დიდ ძალი მათგან მოგროვებული ფული მოიტანეს ,,მატიცასთვის.'' ერთ დროს „მატიცა" სცემდა კალენდარსაც, რომლის რედაქციაც მინდობილი ჰქონდათ გამოჩენილ ჩეხელს. პოეტებს: იაროსლავ ვრხლიცკის და სვიატოპოლკ ჩეხს.

„მატიცას" აქვს თავისი ორგანო, რომელშიც იბეჭდება ანგარიში ამ საზოგადოების მოქმედებისა, შემოსავალისა და გასავალისა.

,,ჩეხელთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" იმდენზედ გაძლიერდა და იგი ისე მტკიცე ნიადაგზეა დამკვიდრებული, რომ თვით ავსტრიელები ამბობენ ველარას გავაწყობთ მის წინააღმდეგაო.

„მატიცას" დაარსებამ ჩეხიაში მიმბაძველები გამოიწვია. გალიციის პოლონელებმაც დააარსეს ეგრეთი საზოგადოება და სამის წლის განმავლობაში ამ საზოგადოებამ 70,000 მან. შეკრიბა, დააარსა რამდენიმე სკოლა, შემწეობა აღმოუჩინა ათსა და ოცს სასოფლო საზოგადოების სკოლის დასაარსებლად. ეს საზოგადოებაც სცდილობს პოლონელი გადაგვარებიდამ იხსნას.

კ—ა.

მისი სოფიო, შვილნი ამათნი დავით და ელენე; 4) ქვრივი გიორგისა — მზეხა, შვილნი ამათნი სამეილ, მაქსიმე, გიორგის ძენი, ელისაბედ, ეკა, მართა და ნინო გიორგის ასულნი და 5) მიხეილი ლევანის ძე.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

კბილის ექიმი

# ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 10-დგან 2 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—70).

ი ს ყ ი დ ე ბ ა

ყველა წიგნის მაღაზიაში ახალი ქართული წიგნი

# ცოდვა სიყვარულისა

(Crime d' amour)

რომანი

პოლ ბურჟესი.

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ.

ფასი 70 კაპ.

ვინც 5 ცალზედ მეტს დაიბარებს პირ და პირ მთარგმნელისაგან, 20% დაეთმობა. ადრესი: Тифлисъ, редакція „Моамбэ“. Гр. Кипшидзе.

# ივანე როსტომაშვილის გამოცემანი 1896 წელს.

1896 წლის განმავალობაში გამოვა **18** ახალი ქართული წიგნი და **1 ა ლ ბ ო მ ი** «**ქართველთა ნათესავნი ანუ ტომნი**» (грузинскія племена) ასზე მეტი სურათით და მოკლე აღწერით. ოთხი წიგნი უკვე გამოვიდა და ახლა იბეჭდება მეხუთე და მეექვსე წიგნი—პესტალოცის კლასიკური მოთხრობა «**ლინგარდი და გერტრუდა**», ოჯახში შვილების აღზრდაზე და «**ფუტკრის გონიერი მოვლა-მოშენება**». ამათ შემდეგ, სხვათა შორის, დაიბეჭდება ორი შესანიშნავი თხზულება—«**ცივილიზაციის ისტორია ინგლისში**» ბოკლისა და «**ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**» კარლეილისა.

ფასი მთელის გამოცემისა **4** მანეთი.

ფული უნდა გამოიგზავნოს: г. Тифлисъ, Дав. пл. № 6, Ивану Павловичу Ростомову. (5—10—2)

დაიბეჭდა მეორე გამოცემით

# იავ-ნანამ რა ჰქმნა

მოთხრობა იაკობ გოგებაშვილისა.

წიგნი შემკულია რვა სურათით, რომელნიც მკითხველს თვალწინ უდგენენ: 1) ზურაბ ქართველიძეს და მისს ცოლს პატარა ქეთოთი, როდესაც ქმარი უკრავს თარზედ და ცოლი დამღერის; 2) ქეთოს მოტაცებას ტყეში ლეკებისაგან; 3) ქეთოს ყიდვას ნაიბისაგან; 4) ქეთოს მოტაცებას ათის წლის შემდეგ მამის მიერ; 5) ქეთოს მოყვანას შინ; 6) დედა მღერის „იავ-ნანასა“ და ქეთო გონზედ მოდის, ცნობულობს დედას და იგონებს თავისს ბავშვობასა; 7) ქეთო ხელებ გაშლილი მირბის დედისაკენ; 8) დედა და შვილი ერთმანეთს ეხვევიან. წიგნი ისყიდება დამკვეთელთა წიგნის მაღაზიებში: ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისში ბეჟანიშვილთან და ჭილაძესთან, ოზურგეთსა და სენაკში თავართქილაძესთან. ფასი ყველგან ორი შაურია. (10—10)

დამზღვევი საზოგადოება

# „იაკორი“

(ღ უ ზ ა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი ასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ იქნება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500მან. და დანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითიგანცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. კოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის სანდვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, საპირი ალელლოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—94)

# НАСТОЛЬНЫЙ ЭНЦИКЛОПЕДИЧЕСКІЙ СЛОВАРЬ,

изд. Т-ва А. ГРАНАТЪ и К°,

ОКОНЧЕНЪ ПЕЧАТАНІЕМЪ.

Все изданіе составляетъ 8 томовъ.

Цѣна тому въ переплетѣ на обыкновенной бумагѣ 5 руб., на лучшей 6 рублей

СЪ 1 МАРТА 1896Г. ЦѢНА БУДЕТЪ ПОВЫШЕНА.

**Проспекты съ отзывами печати и выдержками изъ текста высылаются безплатно.**

Главная Контора: Москва, Большая никитская, д. Рихтеръ, рядомъ съ университетомъ. (3—2).

ი ხ მ ა რ ე თ  მ ხ ო ლ ო დ

საპონი „ვაზელინი“—იაფი, კარგი, პრაქტიკული და მარგებელია.

ჭიგიენის „ამხანაგობისა“ ს.-პეტერბურგში.

ს.-პეტერბურგი, ალექსანდრ. მოედ., 9., მოსკოვი, ვარშავა.

ისყიდება ყველგან.

(9—7—7).

1896. ГОДЪ ШЕСТОЙ. 1896.

**ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1896 ГОДЪ**

На ежемѣсячный литературно историческій журналъ

# „ВѢСТНИКЪ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“.

Въ 1896 году „Вѣстникъ Иностранной Литературы“ будетъ издаваться въ своемъ обычномъ объемѣ. Въ составъ журнала войдутъ: Классическія произведенія.—Романы, повѣсти и разсказы.—Маленькая юмористика.—По вопросамъ общественнымъ и нравственнымъ.—Критическіе этюды.—Новое о знаменитыхъ писателяхъ.—Россія заграницей.—Научныя новости. Историческіе очерки, разсказы и анегдоты.—Изъ заграничной хроники.—Стихотворенія.—Мелочи.

Въ отдѣлѣ беллетристики въ первыхъ книжкахъ „Вѣстника“, между прочимъ, будутъ напечатаны новые романы *Альфонса Додэ, д'Аннунціо, Э. Рода, м-съ Уардъ, Георга Эберса,* автобіографія знаменитой артистки Элеоноры Дузэ, новые разсказы *Киплинга и Стоктона.* Въ теченіе года будутъ помѣщаться также одновременно съ ихъ появленіемъ заграницей новые романы *Эмиля Зола. Поля Бурже, Марселя Прево и Анатоля Франса.*

Съ января 1896 г. въ Иллюстрированномъ Приложеніи будетъ печататься въ переводѣ по мѣрѣ появленія по англійски,

новый отдѣлъ историческаго труда профессора Вилліама Слоона

# НОВОЕ ЖИЗНЕОПИСАНІЕ НАПОЛЕОНА I,

*заключающій въ себѣ характеристику эпохи первой имперіи, обзоръ государственной дѣятельности Наполеона I и его кампаній, а также исторію его паденія и узничества.*

По новымъ матеріаламъ, извлеченнымъ изъ различныхъ національныхъ архивовъ и мемуаровъ,

**Обильно украшенное иллюстраціями.**

Подписная цѣна на 1896 годъ прежняя:

съ доставкою и пересылкою **4** р. ‖ безъ доставки и пересылки **3** р. **50** к.

## „Вѣстникъ Иностр. Литерат.“ за прежніе года

Продается по **4** р. годъ съ пересылкою до всѣхъ станцій желѣзныхъ дорогъ товаромъ малой скорости, а съ пересылкою по почтѣ за каждый годъ на 2 рубля дороже.

Продолжается подписка на 1896 годъ по той же цѣнѣ.

*ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ*: въ С.-Петербургѣ—въ Конторѣ Редакціи, гостинный дворъ, Зеркальная линія, № 63, магазинъ Пантелеева (противъ Пажескаго Корпуса); въ Москвѣ—въ Конторѣ Н. Н. Печковской, Петровскія линіи, а гг. иногородніе благоволятъ адресоваться въ Редакцію, С.-Петербургъ, Верейская ул., № 16, собств.

Редакторъ *Ѳ. И. Булаковъ.* Издатель *Г. Ѳ. Пантелеева.*


Дозволено цензурою, Тифлисъ 3 -го Января 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.